East European University

EEU

კლინიკური უნარების ცენტრის დებულება

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის

24 თებერვლის №03 დადგენილებით

განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 13 ივლისის №05 დადგენილებით

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 2
თავი II. ტერმინთა განმარტება 2
თავი III. ცენტრის მიზნები 3
თავი IV. ცენტრის ფუნქციები 3
თავი V. ცენტრის მართვა 3
თავი VI. ცენტრის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები 4
თავი VII. ცენტრის პერსონალი 4
თავი VIII. ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაფინანსება 5
თავი IX. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგია 5
თავი X. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზაცია 5
თავი XI. დასკვნითი დებულებები 6

თავი I
ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება არეგულირებს კლინიკური უნარების ცენტრის ორგანიზაციასა და საქმიანობას ფაკულტეტზე განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით.

1.2 კლინიკური უნარების ცენტრი არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული.

1.3 კლინიკური უნარების ცენტრი არის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი, სადაც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საშუალებით (მულაჟები/მანეკენები, სამედიცინო ინსტრუმენტები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ლაბორატორიული მოწყობილობები და ა.შ.) შექმნილია კლინიკურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული და თანამედროვე სასწავლო-კვლევითი მოთხოვნების შესაბამისი გარემო, სადაც ხდება სტუდენტების მიერ კლინიკური, პრაქტიკული და პროცედურული უნარების გამომუშავება.

1.4 კლინიკური უნარების ცენტრი საქმიანობისას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რეგულაციებით, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საჭიროებებითა და აღნიშნული დებულებით.

თავი II
ტერმინთა განმარტება

2.1 დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) - არის სტუდენტების ქმედებაზე ორიენტირებული კლინიკური უნარების სტანდარტიზირებული შეფასება, რომელიც გამოიყენება სტუდენტების კლინიკური და პროფესიული კომპეტენციების (კლინიკური უნარ-ჩვევების) შესაფასებლად. OSCE-ის გამოცდის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური და პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრაციას მულაჟების/მანეკენებისა და სტანდარტიზირებული პაციენტის გამოყენებით.

ბ) SP (Standardized Patient) - არის ადამიანი, რომელიც ასრულების პაციენტის როლს, ახდენს დაავადების ნიშნებისა და სიმპტომების სიმულაციას და საშუალებას იძლევა შეფასდეს სტუდენტის კლინიკური და პროფესიული უნარები (ანამნეზის შეკრება, ფიზიკალური გასინჯვა, კომუნიკაციის უნარები, აფექტური უნარები და ა.შ.).

გ) მულაჟი/მანეკენი არის სხეულის ან მისი რომელიმე ორგანოს ნატურალური სიდიდის მოდელი.

თავი III
ცენტრის მიზნები

3.1 კლინიკური უნარების ცენტრის მიზანია ფაკულტეტზე განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის კვლევითი, კლინიკური, პროცედურული და პრაქტიკული უნარების გამომუშავება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადება.

თავი IV
ცენტრის ფუნქციები

4.1 ცენტრის ფუნქციებია:

ა) სტუდენტზე ორიენტირებული, კლინიკურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული და თანამედროვე სასწავლო-კვლევითი მოთხოვნების შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს შექმნა და სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დარგობრივი უნარების გამომუშავება.

ბ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიმდინარეობის უზრუნველყოფა როგორც სიმულაციურ, ისე ლაბორატორიულ გარემოში.

გ) თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით კლინიკური შემთხვევების მოდელირება, ლაბორატორიული სამუშაოები და მიზნობრივი პრაქტიკის განხორციელება.

დ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგიის დანერგვა და ორგანიზება, სტუდენტების კლინიკური და პროცედურული უნარების ობიექტური შეფასება სხავადასხვა სიმულაციურ კლინიკურ გარემოში.

თავი V
ცენტრის მართვა

5.1 ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ანგარიშვალდებულია ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

5.2 ცენტრის ხელმძღვანელი წარმართავს ცენტრის საქმიანობას, დებულებითა და სასწავლო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების ეფექტურად განხორციელებას სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წარმატებით ჩატარებისათვის.

5.3 ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობებია:

ა) ცენტრის შემადგენლობაში შემავალი ლაბორატორიების ზედამხედველობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაციისა და საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) კლინიკური უნარების ცენტრის სასწავლო კურსებთან ადაპტაციის ორგანიზება პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად შესაბამისი სასწავლო კურსების წარმატებით განხორციელებისათვის;

გ) სტანდარტიზირებული პაციენტების შერჩევისა და ტრენინგის ორგანიზება;

დ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შემფასებლების ტრენინგის ორგანიზება;

ე) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინსტრუმენტების და ა.შ. საჭიროებების განსაზღვრა და სადგურების შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ვ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შეფასების, რუბრიკების, კითხვების, სტუდენტების, გამომცდელების, სტანდარტიზებული პაციენტების ინსტრუქციების, სცენარების, შეფასების ფურცლების და ა.შ. შემუშავების ორგანიზება პროგრამის ხელმძღვანელის ზედამხედველობით;

ზ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის სადგურების მომზადების ორგანიზება;

თ) ლაბორატორიებში უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგი.

თავი VI
ცენტრის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ა) საბაზისო სამედიცინო განათლება,

ბ) ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე,

გ) სასურველია პრაქტიკული გამოცდილება.

თავი VII
ცენტრის პერსონალი

ა) ცენტრის ხელმძღვანელი,

ბ) ცენტრის ასისტენტი/ლაბორანტი,

გ) ლაბორატორიების ინჟინერი,

დ) IT სპეციალისტი.

თავი VIII
ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაფინანსება

8.1 ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) ფაკულტეტის წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა.

ბ) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ხარჯები.

8.2. ცენტრი ვალდებულია აწარმოოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-შენახვა, დანახარჯების აღრიცხვა და ანგარიშგება, გამოყენებული მასალის ლიკვიდაცია.

თავი IX
ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგია

9.1 ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) არის სტუდენტების ქმედებაზე ორიენტირებული კლინიკური უნარების სტანდარტიზირებული შეფასება.

9.2 ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ახდენს სტუდენტების კლინიკური უნარების შეფასებას სტანდარტიზირებული პაციენტების და მანეკენების საშუალებით.

9.3 ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შედგება განსაზღვრული რაოდენობის მიზნობრივი სადგურისაგან, სადაც მოწმდება სტუდენტების სხვადასხვა კლინიკური, კომუნიკაციური, კოგნიტური, აფექტური და ა.შ. უნარები.

თავი X
ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზაცია

ა) სტუდენტებისათვის გამოცდის ინტრუქციებისა და რეგულაციების გაცნობა,

ბ) სადგურების რუქის მიწოდება სტუდენტებისათვის,

გ) შემფასებლებისათვის ინსტრუქციებისა და შეფასების სისტემის მოწოდება,

დ) სტანდარტიზებული პაციენტებისათვის ინსტრუქციების მოწოდება,

ე) თითოეულ სადგურზე სცენარის/ინსტრუქციების მიწოდება

ვ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინსტრუმენტების და ა.შ. საჭიროებების განსაზღვრა, მომზადება და სადგურების უზრუნველყოფა.

თავი XI
დასკვნითი დებულებები

კლინიკური უნარების ცენტრი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც უწყვეტი განათლების ცენტრი დარგის სპეციალისტების ტრეინინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.